პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საბჭოთა აფხაზეთი

ბაქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის, სუხუმის ქალაქკომისა САБЧОТА АБХАЗЕТИ — Орган Абхазского обкома и Сухумского и Абхазского ордена Горкома КП(б) Гр. и Советов депутатов трудящихся Абхазской АССР

№ 98 (3558) | ხუთშაბათი, 18 მაისი, 1950 წელი | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

— ვადამდე შევასრულოთ მეორე კვარტალის გეგმა (მოწინავე).
— საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილება გერმანიის სარეპარაციო გადასახდელთა შემცირების შესახებ (1-ლი გვ.).
— სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (1-ლი გვ.).
— პოლიტსკოლების პროპაგანდისტთა დასახმარებლად (მე-2 გვ.).
— მისალმეგათა ნაკადი (მე-2 გვ.).
— დიდი რუსი მხედართმთავარი (მე-3 გვ.).
— შ. ლონტი — საყურადღებო კრებული (მე-4 გვ.).
— უცხოეთის ამბები—დეპეშები (მე-4 გვ.).

ვადამდე შევასრულოთ მეორე კვარტალის გეგმა

ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მშრომელები ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, ხალხთა ბრძენი ბელადის ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით უმაგალითო წარმატებებს აღწევენ დიად სტალინურ მშენებლობათა ხუთწლიანი გეგმის განხორციელებაში. ჩვენს ქვეყანაში განუხრელი აღმავლობის გზით მიდის სახალხო მეურნეობა. სწრაფად ვითარდება მისი ერთ-ერთი წამყვანი დარგი—სოციალისტური მრეწველობაც. მრეწველობის მუშაკთა მრავალრიცხოვანმა არმიამ წარმატებით დასძლია ომით გამოწვეული სიძნელენი, უზრუნველყო პროდუქციის გამოშვების თვალსაჩინო გადიდება, თვითღირებულების შემცირება. ხარისხის გაუმჯობესება. სოციალისტური დაგროვების ზრდა.

ახლა, როცა საბჭოთა კავშირის მშრომელები ახორციელებენ ახალი სტალინური ხუთწლედის დასკვნითი, 1950 წლის ამოცანებს, ჩვენი მრეწველობა უფრო გაზრდილი მოთხოვნილების წინაშე დგას. საქმე იმაშია, რომ თვითეული საწარმოს მთელი მუშაობა წარმომთოს სახელმწიფო გეგმის ყველა მაჩვენებლის მიხედვით შესრულებისაკენ, შეიქმნას მყარი საფუძველი არა მარტო მიმდინარე კვარტალის დავალების, არამედ 1950 წლის გეგმის ვადამდე და გადაჭარბებით განხორციელებისათვის. ამ ამოცანის ბოლშევიკური გადაწყვეტა მოითხოვს საწარმოთა კოლექტივების უფრო დაძაბულ, უფრო ენერგიულ შრომას, მუშაობის მოწინავე მეთოდების ფართოდ დანერგვას, სოციალისტური შეჯიბრების ახალი ძალით გაჩაღებას, ყოველი ახალი წამოწყებისა და ინიციატივისათვის აქტიური მხარდაჭერას.

სავსებით სწორად მოიქცნენ ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის შახტებში, როცა წარჩინებული მუშახტების წინადადებით აქ ფართოდ გაჩაღეს ბრძოლა მოსკოვის ფეხსაცმლის ფაბრიკის „პარიზის კომუნის“ სახელმოხვეჭილი ოსტატის ლიდია კორობელნიკოვას თაოსნობის მხარდასაჭერად. როგორც ცნობილია, კორობელნიკოვას პატრიოტული ინიციატივა გულისხმობს დაზოგილი ნედლეულის ხარჯზე ზეგეგმური პროდუქციის გამოშვებას. ტყვარჩელელებმა აწონდაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მათაც ყველა პირობა გააჩნიათ მეტი სამაგრი და საფეთქებელი მასალების, ხე-ტყის, საწვავისა და სხვათა დასაზოგავად.

უკვე მოპოვებულია პირველი წარმატებანიც; ყველაზე მეტად დაწინაურდა სტალინის სახელობის შახტის მეექვსე საექსპლოატაციო უბანი, რომლის კოლექტივმაც ერთ-ერთმა პირველთაგანმა დაიწყო ბრძოლა მასალების ეკონომიურად ხარჯვისათვის. მას არ ჩამორჩა მეცხრე საექსპლოატაციო უბანიც. აქ მარტო აპრილში 5.000 მანეთის მასალების მომჭირნეობა უზრუნველყვეს.

ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ამოცანათა განხორციელებისათვის ბრძოლაში წარმატებებს აღწევს ამიერკავკასიის რკინიგზის სუხუმის განყოფილების კოლექტივიც. რკინიგზელებმა მაღალი მაჩვენებლები მოიპოვეს მიმდინარე წლის პირველ ოთხ თვეში და ასევე ჯარგად დაიწყეს მაისიც. მათ გეგმის გადამეტებით დატვირთეს, ასევეულობით ვაგონი; ამავე დროს მატარებელთა მოძრაობის გრაფიკის დაცვის საქმის შესამჩნევ გაუმჯობესებასაც მიაღწიეს. განსაკუთრებული შრომითი აღმავლობით აღნიშნავენ მაისის თვითეულ დღეს განყოფილების მეორთქლმავლეები, რომლებმაც საგრძნობლად გადიდეს ლოკომოტივების ტექნიკური სიჩქარე და დაზოგილი საწვავის ხარჯზე უზრუნველყვეს მრავალი რენტაბელური რეისის ჩატარება.

გეგმების განხორციელებისათვის, პროდუქციის გამოშვების სისტემატური გადიდებისათვის დღითი დღე ძლიერდება მუშაობის ტემპები სუხუმის ტყავფეხსაცმლის კომბინატში, „ლითონკომბინატში“, სანავსადგურო მოწყობილობათა ქარხანაში, ოჩამჩირის პურის ქარხანაში, აფხაზეთის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სამშენებლო მასალათა დამამზადებელ მოწინავე საწარმოებში და სხვ.

მაგრამ ყოველივე ზემოაღნიშნული სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ აფხაზეთის სამრეწველო საწარმოებსა და სატრანსპორტო ობიექტებზე ყველა შესაძლებლობაა სათანადოდ გამოყენებული მიმდინარე კვარტალის დავალებათა ვადამდე და გადამეტებით განაღდებისათვის. ჩვენი გაზეთი ხშირად იღებს კორესპონდენტთა შენიშვნებს, რომლებშიც მოთხრობილია ცალკეულ საწარმოთა კოლექტივების ცუდ მუშაობაზე, გეგმების შეუსრულებლობის მიზეზებზე. მაგალითად, ამას წინათ ჩვენი კორესპონდენტები გაგრიდან და გუდაუთიდან იტყობინებოდნენ, რომ რაიმრეწკომბინატების ცალკეულ საწარმოებში დღემდე არაა გარდაქმნილი მუშაობა ახალ გადიდებულ მოთხოვნილებათა შესაბამისად, სუსტად იბრძვიან საწარმოო დავალებათა განაღდებისათვის და გადამწყვეტ ზომებს არ იღებენ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

სახარბიელო მდგომარეობასთან არც სუხუმის ზოგიერთ საწარმოებში გვაქვს საქმე. გეგმების განსახორციელებლად ყველა შესაძლებლობასა და რესურსებს ყოველთვის უნარიანად როდი იყენებენ მაგალითად, თამბაქოსა და საკონდიტრო ფაბრიკებში, ავეჯის ქარხანაში, ქალაქის სამრეწველო კომბინატის სასწავლო-საწარმოო საამქროში და სხვ. ამ საწარმოთა კოლექტივებს არ შეუსრულებიათ პროდუქციის გამოშვების აპრილის დავალება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მათგანი ხარისხის გაუმჯობესების მხრივაც ჩამორჩა. ასე ითქმის თამბაქოს ფაბრიკაზე, სადაც დღემდე არცერთ ბრიგადას არა აქვს მინიჭებული საუკეთესო ხარისხის ბრიგადის წოდება.

აფხაზეთის საწარმოებში გეგმების ყველა მაჩვენებლის მიხედვით შესრულებისათვის ბრძოლა კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს. ამოცანა იმაშია, რომ თვითეულ საწარმოში მაქსიმალურად გამოვიყენოთ მაისის დამთავრებამდე დარჩენილი მთელი პერიოდი, უზრუნველვყოთ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების სწრაფი აღმოფხვრა და მტკიცე საფუძვლის შექმნა მეორე კვარტალის დავალების ვადამდე და წარმატებით განაღდებისათვის.

საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილება გერმანიის სარეპარაციო გადასახდელთა შემცირების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

გენერალისიმუს ი. ბ. სტალინს

მოსკოვი, კრემლი

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ 1950 წლის 11 მაისს განიხილა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის შუამდგომლობა გერმანიის სარეპარაციო მოწოდებათა შემცირების შესახებ. შუამდგომლობა დასაბუთებულია იმით, „რომ დღემდე სარეპარაციო ვალდებულებანი პუნქტუალურად სრულდებოდა და რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს სარეპარაციო მოწოდებათა შესრულება ყოველთვის თავიანთ მოვალეობად მიაჩნდათ“.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის წინადადება დროულად მიაჩნია. დემოკრატიული წყობილების განმტკიცებისა და მშვიდობიანი საშეურნეო მშენებლობის პოლიტიკა, რასაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი მთავრობა ახორციელებს, უკარნახებს მას სთხოვოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობას განიხილოს საკითხი იმის შესახებ, მიაჩნია თუ არა მას შესაძლებლად შეამციროს სარეპარაციო მოწოდებანი და რა ოდენობით.

ერმა პატივისცემით

ო. გროტევოლი.

1950 წ. 11 მაისი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს

ბ-ნ ოტო გროტევოლს

ბერლინი.

პატივცემულო ბ-ნო პრემიერ-მინისტრო.

საბჭოთა მთავრობამ განიხილა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თხოვნა იმ თანხის შემცირების შესახებ, რასაც გერმანია იხდის რეპარაციების ანგარიშში.

საბჭოთა მთავრობამ ამასთან მხედველობაში მიიღო, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა კეთილსინდისიერად და რეგულარულად ასრულებს თავის სარეპარაციო ვალდებულებებს, რაც გამოანგარიშებულია ათი მილიარდი დოლარის ოდენობით, და რომ 1950 წლის დამლევისათვის ამ ვალდებულებათა მნიშვნელოვანი ნაწილი 3.658 მილიონი დოლარის რაოდენობით შესრულებული იქნება.

ხელმძღვანელობს რა სურვილით შეამსუბუქოს გერმანელი ხალხის ღონისძიებანი გერმანიის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების დარგში და ითვალისწინებს რა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დამყარებულ მეგობრულ ურთიერთობას, საბჭოთა მთავრობამ, პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობასთან შეთანხმებით, მიიღო გადაწყვეტილება 50 პროცენტით, ე. ი. 3.171 მილიონ დოლარამდე შეამციროს გადასახდელად დარჩენილ სარეპარაციო გადასახდელთა თანხა.

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მოსკოვის სესიაზე 1947 წლის მარტში რეპარაციების გადასახდელად 20 წლის ვადის დაწესების შესახებ სსრ კავშირის მთავრობის განცხადების შესაბამისად, საბჭოთა მთავრობამ მიიღო აგრეთვე გადაწყვეტილება გაანაწილვადოს გერმანიის მიერ სარეპარაციო გადასახდელთა დარჩენილი ნაწილის (3.171 მილიონი დოლარის რაოდენობით) გადახდა 15 წლით, დაწყებული 1951 წლიდან 1965 წლამდე ჩათვლით, მომდინარე პროდუქციის საქონლით.

ერმა პატივისცემით

ი. სტალინი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

1950 წ. 15 მაისი.

საბჭოთა საქართველოში

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკების კურსები

მუშაობა დაამთავრა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკების გადასამზადებელმა ერთთვიანმა რესპუბლიკურმა კურსებმა. კურსებზე გადამზადება გაიარეს კულტურის სახლების დირექტორებმა და მხატვრულმა ხელმძღვანელებმა, საკლუბო დრამატული წრეების ხელმძღვანელებმა. მსმენელთათვის წაკითხულ იქნა ლექციები იდეოლოგიური მუშაობის საკითხებზე, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ფორმებსა და მეთოდებზე. თეატრის, მუსიკის, ქორეოგრაფიისა და სახვითი ხელოვნების საკითხებზე.

8 მაისიდან მუშაობა დაიწყო კლუბების მუსიკალურ-საგუნდო და ქორეოგრაფიული წრეების ხელმძღვანელთა გადასამზადებელმა კურსებმა. კურსებზე მეცადინეობს 50 კაცი. (საქდესი).

ფილმი „ბერლინის დაცემა“ ქართულ ენაზე

9 მაისიდან რესპუბლიკის კინოთეატრებში უჩვენებენ ქართულ ვარიანტს შესანიშნავი კინოეპოპეისა „ბერლინის დაცემა“.

ქართულ ენაზე ფილმი გაახმოვანა თბილისის ლენინის ორდენოსანმა კინოსტუდიამ. ხმის ჩაწერის დუბლიაჟში მონაწილეობას იღებენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი სტალინური პრემიის ლაურეატი ა. ვასაძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტები ე. აფხაიძე და ვ. ანჯაფარიძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი კ. დაუშვილი და სხვები. (საქდესი).

ნიდერლანდის ელჩმა ბარონმა ფ. კ. ა. ვან პალანდტმა რწმუნების სიგელები გადასცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. მ. შვერნიკს

13 მაისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. მ. შვერნიკმა კრემლში მიიღო ნიდერლანდის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბარონი ფ. კ. ა. ვან პალანდტი, რომელმაც მას გადასცა თავისი რწმუნების სიგელი.

ბარონ ფ. კ. ა. ვან პალანდტს თან ახლდნენ საელჩოს მრჩეველი ბარონი კ. ვ. ა. ვან ჰაერსოლტი, საელჩოს მე-2 მდივანი ბ-ნი კ. დ. ბარკმანი, საელჩოს ატაშე ბ-ნი გ. ბ. დრისენი და საელჩოს მდივანი-არქივისტი ქალბატონი პ. ს. გ. ვან დერ კოლფი, რომლებიც ელჩმა წარუდგინა ნ. მ. შვერნიკს.

რწმუნების სიგელების გადაცემას დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. ე. ბოგომოლოვი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. თ. გორკინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის პირველი განყოფილების გამგის მოვალეობის აღმსრულებელი მ. გ. სერგეევი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე ფ. ფ. მოლოჩკოვი.

რწმუნების სიგელების გადაცემის შემდეგ ნ. მ. შვერნიკს საუბარი ჰქონდა ბარონ ფ. კ. ა. ვან პალანდტთან. საუბარში მონაწილეობა მიიღო ა. ე. ბოგომოლოვმა. (საქდესი).

მაიაკოვსკის პოემა „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი“ ქართულ ენაზე

ქართულ ენაზე გამოვიდა ახალი გამოცემა ვ. ვ. მაიაკოვსკის გენიალური პოემისა „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი“. თარგმანი შესრულებულია პოეტ მიქელ პატარიძის მიერ. გამოცემის ტირაჟია 6 ათასი ეგზემპლარი. (საქდესი).

ქართული თეატრის აღდგენის 100 წლის იუბილესათვის


ქართული თეატრის აღდგენის 100 წლის იუბილესათვის, რომელიც აღნიშნული იქნება მიმდინარე წლის შემოდგომაზე, მზადდება მთელი რიგი გამოცემები.

სახელგამი გამოუშვებს გიორგი ერისთავის თხზულებათა სრულ კრებულს, ზურაბ ანტონოვის კომედიებს, ს. გერსამიას მონოგრაფიას „გიორგი ერისთავის თეატრი“.

გ. ბუხნიკაშვილის ისტორიული მიმოხილვა „ქართული თეატრი 100 წლის მანძილზე“ გამოშვებული იქნება ქართულ ენაზე „ახალგამის“ მიერ და რუსულ ენაზე — გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას“ მიერ.

გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა“ რუსულ ენაზე გამოუშვებს აგრეთვე გიორგი ერისთავის მთელ რიგ რჩეულ ნაწარმოებებს.

გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“ უშვებს მხატვრულ პლაკატს „გიორგი ერისთავის თეატრი“ და ღია ბარათების სერიას ქართული თეატრის გამოჩენილ მოღვაწეთა პორტრეტებით (საქდესი).



თბილისი. მცირე მეგობრობა დამყარდა საქართველოსა და სომხეთის ცნობილი მემანქანეების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების შ. კოხრეიძისა და გ. აბაჯანის შორის. ამასწინად ლენინაკანის საორთქლმავლო დეპოს უფროსმა მემანქანემ გ. აბაჯანმა მოიყვანა თბილისში სამგზავრო მატარებელი და დასვენების დროს ეწვია თბილისის საორთქლმავლო დეპოს სტახანოველებს, მათ შორის საქართველოს სახელგანთქმულ მემანქანეს შ. კოხრეიძეს. მათ ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება. ხურათზე: სსრ კავშირის დეპუტატები, თბილისის საორთქლმავლო დეპოს მემანქანე-ინსტრუქტორი შ. კოხრეიძე (მარჯვნივ) და ლენინაკანის საორთქლმავლო დეპოს მემანქანე გ. აბაჯანი.

ფოტო მ. კერიკაშვილისა.
(საკდესის ფოტოქრონიკა).

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

პირველი საავიტაციო მატარებელი ბულგარეთში

სოფია, 14 მაისი. (საკდესი). ბულგარეთის სხვადასხვა რაიონის მოვლის შემდეგ სოფიაში დაბრუნდა ბულგარეთის პირველი საავიტაციო მატარებელი. საავიტაციო მატარებელი იყო მეზდრაში, ბრაცში, ლომში, გორნო-ორიახოვიცში და რესპუბლიკის თერთმეტ სხვა დიდ საკვანძო სარკინიგზო სადგურში.

საავიტაციო მატარებლის სალექციო ჯგუფმა საუბრები გამართა რესპუბლიკის სახალხო სამეურნეო ხუთწლიანი გეგმის, ბულგარეთისა და საბჭოთა კავშირის რკინიგზელთა მიღწევების შესახებ.

მატარებლის სამხატვრო კოლექტივმა 24-ზე მეტი წარმოდგენა გამართა, მათ შორის უჩვენეს საბჭოთა პიესები: „მწვანე ქუჩა“, „მეორე ფრონტს იქით“ და სხვები. რკინიგზელებს უჩვენეს საბჭოთა და ბულგარული კინოფილმები.

საავიტაციო მატარებელმა რაიონებში ყოფნის დროს 50.000 კაცს გაუწია მომსახურება.

რუმინეთში მატულობს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რაოდენობა

ბუქარესტი, 14 მაისი. (საკდესი). როგორც რუმინეთის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს, რუმინეთის მანქანა-ტრაქტორთა სადგურები დიდ დახმარებას უწევენ სახელმწიფო და კოლექტიურ მეურნეობებს, აგრეთვე მიწის ერთად დამუშავებისათვის გაერთიანებულ მშრომელ გლეხებს. ამ ზაფხულს 130.000 გლეხი გაერთიანდა მიწის ერთად დასამუშავებლად და ხელშეკრულება დადო მტს-ებთან. ამჟამად რუმინეთში არის 108 მტს-ი, რომლებსაც აქვთ 4.500-ზე მეტი ტრაქტორი, 4,200 გუთანი და 3.200 სალეწი მანქანა. 1949 წლის ივლისში რუმინეთში 81 მანქანა-ტრაქტორთა სადგური იყო. 1950 წლის დამლევს მტს-ების ტრაქტორების, გუთნებისა და სალეწი მანქანების რიცხვი დაახლოებით 16.000 იქნება.

1949 წელს მტს-ებთან გახსნილ კურსებზე 3.600 კაცი სწავლობდა. ამჟამად ასეთ კურსებზე 13.000 ახალგაზრდა გლეხი სწავლობს.

ჩეხოსლოვაკიის მუშების შრომითი წარმატებანი

პრაღა, 14 მაისი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის მრეწველობამ (კვების მრეწველობის გამოკლებით) აპრილის გეგმა შეასრულა 106,3 პროცენტით. ხოლო მიმდინარე წლის პირველი ოთხი თვის გეგმა—102,4 პროცენტით.

ჩეხოსლოვაკიის მშრომელებმა ეს ახალი შრომითი წარმატებანი მოიპოვეს სოციალისტური შეჯიბრების მეოხებით, რომელიც ფართოდ გაჩაღეს 1 მაისის აღსანიშნავად. გერმანელი ფაშისტი ოკუპანტებისაგან საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების მეხუთე წლისთავის აღსანიშნავად.

პრაღაში გაიხსნა საერთაშორისო ბაზრობა

პრაღა, 14 მაისი. (საკდესი). დღეს პრაღაში გაიხსნა ტრადიციული საერთაშორისო ბაზრობა, რომელიც მაისის დამლევამდე გასტანს. საყოველთაო ყურადღებას იპყრობს სსრ კავშირის პავილიონი, რომელიც ცხადყოფს სოციალიზმის დიადი ქვეყნის ძლიერებას, მის უდიდეს წარმატებებს ომისშემდგომ მშვიდობიან მშენებლობაში.

ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, რუმინეთის, ალბანეთის, ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პავილიონები მკაფიოდ მოწმობენ იმ ახალ აღმავლობას, რომელსაც ამ ქვეყნებმა უკანასკნელ წელს მიაღწიეს.

ბაზრობაზე წარმოდგენილია ავსტრიის, ბელგიის, ინგლისის, ჰოლანდიის, დანიის, იტალიის, მაროკოს, საფრანგეთის, შვეიცარიისა და სხვა ქვეყნების ბევრი ფირმა.

ბაზრობის საზეიმო გახსნაზე სიტყვა წარმოთქვა ჩეხოსლოვაკიის პრემიერ-მინისტრმა ა. ზაპოტოცკიმ.

ჩინეთის სახელმწიფო აღმინისტრაციულმა საბჭომ მოახდინა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის სავაჭრო შეთანხმების რატიფიკაცია

პეკინი, 13 მაისი. (საკდესი). სინხუას სააგენტო გადმოგვცემს, რომ 12 მაისს ჩინეთის სახელმწიფო აღმინისტრაციულმა საბჭომ მოახდინა რატიფიკაცია ჩინეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულებისა, რომელიც ხელმოწერილია მოსკოვში მიმდინარე წლის 19 აპრილს.

პოლიტსკოლების პროპაგანდისტთა დასახმარებლად

როგორ მოვაწყოთ მეცადინეობა თემაზე „საბჭოთა ხალხების ერთიანი ოჯახი“

თემის „საბჭოთა ხალხების ერთიანი ოჯახი“ შესწავლა მსმენელებს დაანახვებს ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის დიად სიმართლესა და ძალას, პოლიტიკისა, რომელსაც ბოლშევიკური პარტია თანმიმდევრულად ახორციელებს კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. ამ თემის მასალები მოწმობენ, რომ მხოლოდ სოციალიზმს მოაქვს თავისუფლება და თანასწორუფლებიანობა ყველა ხალხისათვის, რომ კაპიტალიზმი ეროვნული შუღლის წყაროა, ჩაგვრა და მონობაა სუსტი ხალხებისათვის.

თემის „საბჭოთა ხალხების ერთიანი ოჯახი“ შესწავლა მსმენელებს შეგნებაში განუმტკიცებს ძირითად დასკვნას, რომ ხალხთა შორის მტრობის, ეროვნული უთანასწორობისა და დაძრწების მოსპობა შესაძლებელია მხოლოდ ექსპლოატატორული წყობილების ლიკვიდაციით. ეს დასკვნა დადასტურებულია სსრ კავშირის გამოცდილებით, ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების გამოცდილებით, რამაც გამოიწვია მძლავრი საბჭოთა ძრავალეროვანი სახელმწიფოს — მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების ბურჯის შექმნა, უდიდესი წარმატებანი სსრ კავშირის ყველა ხალხის პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ განვითარებაში, დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებისა და მთავარი როლის საფუძველზე.

ბოლშევიკების პარტია გამოდიოდა რუსეთის ცარიზმის მხეცური მჩაგვრელური პოლიტიკის წინააღმდეგ და მტკიცედ იბრძოდა აგრეთვე არარუსი ეროვნების ბურჟუაზიისა და მემამულეთა ნაციონალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ, მუშათა მოძრაობაში შემძვრალ ბურჟუაზიულ ნაციონალისტთა წინააღმდეგ, რომლებიც ერთმანეთს უსისხლებდნენ მშრომელებს. ბოლშევიკური პარტია ამზადებდა რუსეთის ყველა ეროვნების მუშათა და გლეხთა ერთობლივ ბრძოლას ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ და ხალხთა ძმურ თანამეგობრობას საბჭოთა სოციალისტურ სახელმწიფოში.

პროპაგანდისტს შეუძლია დამაჯერებელი ილუსტრაციები მოიყვანოს სტალინური პრემიის ლაურეატის სამედ ვურგუნის პიესიდან „მზე ამოდის“, რომელიც გვიხატავს ბაქოს მუშების რევოლუციურ ბრძოლას ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით.

პროპაგანდისტი მსმენელებს განუმარტავს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ისტორიულ მნიშვნელობას, რომელმაც მოსპო ჩვენს ქვეყანაში მემამულეთა და კაპიტალისტთა ძალაუფლება, მოსპო ხალხთა ეროვნული ჩაგვრა და უთანასწორობა, შექმნა პირობები მათი ძმური თანამშრომლობისათვის საბჭოთა სახელმწიფოში. ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი არიან მსოფლიოში პირველი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელები.

ლენინ-სტალინის პარტია საბჭოთა ხელისუფლების პირველი დღეებიდანვე თანმიმდევრულად ახორციელებდა თავის ეროვნულ პოლიტიკას. ჩვენს ქვეყანაში ეროვნული საკითხის გადაწყვეტის საქმის უშუალო ხელმძღვანელობა პარტიამ დააკისრა ვ. ი. ლენინის ერთგულ თანამებრძოლს ამხანაგ სტალინს. ამ პერიოდში ეროვნული საკითხის არსი ის იყო, რომ ჩამოყალიბებულიყო ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლებული ხალხების ეროვნული სახელმწიფოებრიობა, აღმოფხვრილიყო მათი სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული ჩამორჩენილობა, რაც წარსულისაგან დარჩა მემკვიდრეობად. პარტიის ამოცანა ის იყო, რომ შესაძლებლობა მიეცა ჩამორჩენილი ხალხებისათვის დაწეოდნენ სახელმწიფო, კულტურული და სამეურნეო განვითარების მხრივ წინწასულ ხალხებს.

პროპაგანდისტი ცხადყოფს უდიდეს მუშაობას, რაც ბოლშევიკურმა პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ შეასრულეს ეროვნული საკითხის გადასაწყვეტად. საბჭოთა სახელმწიფომ განახორციელა ხალხთა სრული თანასწორუფლებიანობა, მიანიჭა მათ უფლება თვითონ მოეწყოთ თავიანთი ცხოვრება, უზრუნველყო ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ყოველმხრივი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული აღმავლობა.

ექსპლოატაციისა და ჩაგვრისაგან განთავისუფლებული რუსეთის ხალხების დარაზმვაში გადამწყვეტი როლი შეასრულა რუსეთის მუშათა კლასმა, რომელმაც უდიდესი დახმარება გაუწია ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხს მათს სამეურნეო და კულტურულ განვითარებაში. პროპაგანდისტს მიყავს იმ დასკვნამდე, რომ მხოლოდ ბოლშევიკური პარტიის ბრძნულმა ლენინურ-სტალინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ გააერთიანა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი და დარაზმა ისინი კომუნიზმისათვის საერთო ბრძოლაში, რომ ეს პოლიტიკა წარმოადგენს იმპერიალისტური სახელმწიფოების პოლიტიკის, ხალხთა ჩაგვრისა და დამონების პოლიტიკის ძირეულ წინააღმდეგობას.

* * *

მეორე მეცადინეობა მიეძღვნება თავს: „თანასწორუფლებიან ხალხთა კავშირი“. ამ მეცადინეობაზე გაირკვევა სსრ კავშირის სახელმწიფოებრივი მოწყობის საფუძვლები, რომლებიც შესაძლებლობას იძლევიან უკეთ იქნას გათვალისწინებული საბჭოთა ხალხების მოთხოვნები და საჭიროებანი და განხორციელდეს მათი ეკონომიური და კულტურული აღმავლობა.

პროპაგანდისტი საუბარს იწყებს იმის აღნიშვნით, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა სახელმწიფოებრივი მშენებლობის ნიმუში გახდა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხისათვის. რსფსრ ის ბირთვი გახდა, რომლის გარშემოც შეიქმნა მტკიცე მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, რსფსრ-ის შემდეგ შეიქმნა უკრაინისა და ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები წარმოიშვა ავრეთვე ამიერკავკასიასა და შუა აზიაში.

ყველა საბჭოთა რესპუბლიკის შექმნაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ამხანაგმა სტალინმა, რომელიც ჩვენი ქვეყნის ყველა ეროვნებას ეხმარებოდა აეშენებინა ახალი ცხოვრება. არ არის არც ერთი რესპუბლიკა, რომლის შექმნაშიც სტალინს არ მიეღოს აქტიური და ხელმძღვანელი მონაწილეობა.

პროპაგანდისტი ხაზგასმით აღნიშნავს იმ უდიდეს დახმარებას, რაც გაუწია და უწევს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს მათს პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ განვითარებაში დიდი რუსი ხალხი, უფროსი ძმა საბჭოთა ხალხების ოჯახში. განსაკუთრებით დიდია რუსეთის მუშათა კლასის დამსახურება ჩვენი ქვეყნის ზოგიერთი ხალხის ჩამორჩენილობის (სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული) დაძლევის საქმეში, რაც დარჩენილი იყო საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში და რაც ხელს უშლიდა მათ მთლიანად გამოეყენებინათ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით მინიჭებული მთელი სიკეთე.

ფასდაუდებელი დახმარება გაუწია დიდმა რუსმა ხალხმა უკრაინის, ბელორუსიის, ამიერკავკასიის, შუა აზიისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხებს თავიანთი მიწა-წყლიდან იმპერიალისტ ინტერვენტთა გაძევებისა და შინაური კონტრრევოლუციის განადგურების საქმეში. ეს დახმარება საბჭოთა რესპუბლიკების თანამშრომლობის მტკიცე საძირკველი გახდა, რამაც სამოქალაქო ომის წლებში საერთო მტრის გასანადგურებლად რესპუბლიკათა სამხედრო კავშირის ფორმა მიიღო.

პროპაგანდისტი ლაპარაკობს, თუ როგორ მოხდა ლენინისა და სტალინის ინიციატივით საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანება 1922 წლის 30 დეკემბერს საბჭოების პირველ საკავშირო ყრილობაზე ერთიან საკავშირო სახელმწიფოდ — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად.

საუბარში დაწვრილებით უნდა აიხსნას ის მიზეზები, რის გამოც საბჭოთა რესპუბლიკები გაერთიანდნენ ერთიან სახელმწიფო კავშირად.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნა ბოლშევიკური პარტიის ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის უდიდესი გამარჯვება იყო.

პროპაგანდისტი ჩამოთვლის იმ საბჭოთა რესპუბლიკებს, რომლებიც 1922 წელს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში შევიდნენ, — რსფსრ, უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ. აცხადებს ლიკვიდაციის შემდეგ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკები უშუალოდ შედიან სსრ კავშირის შემადგენლობაში. შემდეგში ახალი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების შექმნის მიხედვით სსრ კავშირის შემადგენლობაში შევიდნენ უზბეკეთისა და თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები, ტაჯიკეთის, ყირგიზეთისა და ყაზახეთის რესპუბლიკები, რომლებიც ავტონომიურიდან მოკავშირე რესპუბლიკებად გარდაიქმნენ, ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის, მოლდავეთისა და კარელია-ფინეთის მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკები.

პროპაგანდისტი ლაპარაკობს, რომ 1939-1940 წლებში უკრაინელი, ბელორუსი და მოლდაველი ხალხების ბედისათვის ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მამობრივი ზრუნვის მეოხებით განხორციელდა უკრაინელი, ბელორუსი და მოლდაველი ხალხების საუკუნეობრივი ოცნება ყველა უკრაინული, ბელორუსული და მოლდავური მიწების გაერთიანების შესახებ საბჭოთა ეროვნულ სოციალისტურ რესპუბლიკებში.

ამჟამად საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედის 16 მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკა.

პროპაგანდისტი აღნიშნავს, რომ კაპიტალისტური მრავალეროვანი სახელმწიფოები ჩვეულებრივ იქმნებოდნენ ხალხების დაპყრობის, დამორჩილებისა და დამონების გზით, ძალადობისა და ძარცვის მეთოდებით. ამავე მძარცველური სისხლიანი მეთოდებით ცდილობენ ამჟამად ამერიკელი იმპერიალისტები დაიმონონ კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხები, აშკარად უჭერენ მხარს რეაქციულ ფაშისტურ ძალებს, ესპანელი ხალხის ჯალათ ფრანკოთი და ფაშისტ ჩოფაკ ტიტოთი დაწყებული და ამერიკის ჯარების მიერ ოკუპირებული კორეის სამხრეთ ნაწილში თავიანთი აგენტით—ლი სინ მანით დამთავრებული.

ვ. კლიმუშევი.

(გაგრძელება იქნება).

მისალმებათა ნაკადი

ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების სამოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით მისალმებანი გამოგზავნეს და ამხანაგ სტალინს გულითადად უსურვეს ჯანმრთელობა და მრავალ წელს სიცოცხლე:

სარატოვის ოლქის ნოვოპეტროვსკის რაიონის მასწავლებელთა კოლექტივმა;

როსტოვის ოლქის მალჩევის რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკებმა;

კალუგის ოლქის ბაბინინის რაიონის კოლმეურნეობა „განთავისუფლებული შრომის“ წევრებმა;

ალტაის სამხარეო ფილარმონიის, ქ. ბარნაულის სახალხო შემოქმედების სახლისა და მუსიკალური სკოლის მუშაკთა კრებამ;

ხარკოვის ოლქის ვოლჩანსკის რაიონის კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკებმა;

ყირგიზეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ალკკ ცენტრალური კომიტეტის მუშაკთა კრებამ;

ტამბოვის ოლქის ნოკოფროვის მტს-ის მუშათა, მოსამსახურეთა, ტრაქტორისტთა, კომბაინერთა და სპეციალისტთა კოლექტივმა;

ბლაგოვეშჩენსკის სამკერვალო ფაბრიკის მუშათა, მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კოლექტივმა;

ყაზახეთის სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მუშაკთა კოლექტივმა;

ტომსკის რკინიგზის ბიისკის სავაგონო დეპოს მუშათა ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ჰიათურის მაღაროელთა საქალაქო კრებამ;

ესტონეთის სსრ საარეშის მაზრის IV პარტიული კონფერენციის დელეგატებმა;

როსტოვის ოლქის მატვეევ-კურგანის მტს-ის მუშებმა, ტრაქტორისტებმა, სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირებმა, კომბაინერებმა, მოსამსახურეებმა და სპეციალისტებმა;

ბრესტის ოლქის ბერეზოვსკის რაიონის სოფელ პოროსლოვოს ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა და ერთპიროვნულმა გლეხებმა;

„ალტკრაიპრომსტროის“ ბარნაულის № 1 აგურის ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

კურსკის ოლქის გლუშკოვის მტს-ის მუშებმა, ტრაქტორისტებმა მექანიკოსებმა, აგრონომებმა და მოსამსახურეებმა;

ქ. ნიკოლაევის საოლქო გაზეთის „პივდენია პრავდის“ და „ბუგსკაია ზარიას“ რედაქციების მუშაკთა კოლექტივმა;

შახტის პურის კომბინატის არტემოვსკის № 1 პურის ქარხნის მუშებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა;

ქ. იაკუტსკის იუსტიციის მუშაკებმა;

ტაშკენტის პედინსტიტუტის სტუდენტებმა, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობამ და მოსამსახურეებმა;

ვორონეჟის ოლქის სინდიკატის მტს-ის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

მინსკის სარკის ფაბრიკის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა.

ტამბოვის ოლქის რასკაზოვოს ტორფის საწარმოს მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

უდმურტეთის ასსრ მოჟგინის სათრიმლავი ექსტრაქტების ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

სეგეჟის ლენინის ორდენოსანი ცელულოზ-ქაღალდის კომბინატის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

ომსკის ცხვრის საქურქე ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

ასტრახანის ოლქის ტუმაკის თევზის ქარხნის მუშებმა, მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა;

ყაზახეთის სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მუშაკთა კოლექტივმა;

ტომსკის რკინიგზის ბიისკის სავაგონო დეპოს მუშათა ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ჰიათურის მაღაროელთა საქალაქო კრებამ;

ესტონეთის სსრ საარეშის მაზრის IV პარტიული კონფერენციის დელეგატებმა;

როსტოვის ოლქის მატვეევ-კურგანის მტს-ის მუშებმა, ტრაქტორისტებმა, სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირებმა, კომბაინერებმა, მოსამსახურეებმა და სპეციალისტებმა;

ბრესტის ოლქის ბერეზოვსკის რაიონის სოფელ პოროსლოვოს ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა და ერთპიროვნულმა გლეხებმა;

„ალტკრაიპრომსტროის“ ბარნაულის № 1 აგურის ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

კურსკის ოლქის გლუშკოვის მტს-ის მუშებმა, ტრაქტორისტებმა მექანიკოსებმა, აგრონომებმა და მოსამსახურეებმა;

ქ. ნიკოლაევის საოლქო გაზეთის „პივდენია პრავდის“ და „ბუგსკაია ზარიას“ რედაქციების მუშაკთა კოლექტივმა;

შახტის პურის კომბინატის არტემოვსკის № 1 პურის ქარხნის მუშებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა;

ქ. კრასნოიარსკის კაგანოვიჩის რაიონის სამრეწველო კომბინატის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

ტრესტ „გაზსლანცესტროის“ საწარმოო და დამხმარე საწარმოთა მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

წითელი დროშის ორდენოსან ტრესტ „გუკოვუგოლის“ შახტ „უგლეროდის“ მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

ვოლოგდის ოლქის ოქტომბრის რევოლუციის მე-7 წლისთავის სახელობის ქაღალდის ფაბრიკის მუშებმა, მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა;

ყირგიზეთის სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

კურსკის ოლქის მტს-ის მუშებმა, ტრაქტორისტებმა მექანიკოსებმა, აგრონომებმა და მოსამსახურეებმა;

ტრესტ „გაზსლანცესტროის“ საწარმოო და დამხმარე საწარმოთა მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

წითელი დროშის ორდენოსან ტრესტ „გუკოვუგოლის“ შახტ „უგლეროდის“ მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

ვოლოგდის ოლქის ოქტომბრის რევოლუციის მე-7 წლისთავის სახელობის ქაღალდის ფაბრიკის მუშებმა, მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა;

ყირგიზეთის სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

ქ. კრასნოიარსკის კაგანოვიჩის რაიონის სამრეწველო კომბინატის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკ

1800 დიდი რუსი მხედართმთავარი 1950

ალექსანდრე ვასილის-ძე სუვოროვი

დღეს, 18 მაისს, 150 წელი სრულდება დიდი რუსი მხედართმთავრის ალექსანდრე ვასილის-ძე სუვოროვის გარდაცვალების დღიდან.

1941 წლის 7 ნოემბერს წითელ მოედანზე წარმოთქმულ ისტორიულ სიტყვაში ამხანაგმა სტალინმა სუვოროვი დაასახელა იმ დიდ წინაპართა შორის, რომელთა მამაცი სახე აღაფრთოვანებდა საბჭოთა ადამიანებს ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში.

„დაე ამ ომში, — თქვა ამხანაგმა სტალინმა, — თქვენ აღგაფრთოვანებდეთ ჩვენი დიდი წინაპრების — ალექსანდრე ნეველის, დიმიტრი დონსკოის, კუზმა მინინის, დიმიტრი პოჟარსკის, ალექსანდრე სუვოროვის, მიხეილ კუტუზოვის მამაცური სახე! დაე ჭფარავდეთ თქვენ დიდი ლენინის ძლევამოსილი დრომა!“

ა. ვ. სუვოროვი რუსული სამხედრო დიდების ერთ-ერთი მწვერვალთაგანია. ახალი დროის სამხედრო ხელოვნების ისტორიაში იგი შეტანილია, როგორც ერთადერთი მხედართმთავარი, რომელსაც არ წაუგია არც ერთი ბრძოლა. რუსი ხალხის ამ შესანიშნავი შვილის მოღვაწეობა გასხივოსნებულია უბადლო სამხედრო საგმირო საქმეების ნათელი შუქით.



ა. ვ. სუვოროვი დაიბადა 1730 წელს დარიბა აზნაურის ოჯახში. ბავშვობიდანვე სუვოროვი გატაცებული იყო სამხედრო საქმით, ეცნობოდა ძველი დროის სახელგანთქმული სარდლების ლაშქრობის ამბებს და დიდი ინტერესით უსმენდა მამის მოთხრობებს პეტრე დიდის სამხედრო მოღვაწეობის შესახებ.

ა. ვ. სუვოროვი ყოველმხრივ წვრთნიდა და ამზადებდა თავის ორგანიზმს სამხედრო სამსახურისათვის. 1748 წელს იგი ჩარიცხეს სემიონოვის პოლკში, სადაც ჯარისკაცებთან ერთად ცხოვრობდა, რამაც შესაძლებლობა მისცა მას შეესწავლა რუსი ჯარისკაცის ხასიათი. ამან დიდი გავლენა იქონია სუვოროვის სულიერ განწყობილებაზე, მის უნარზე ზეგავლენა მოეხდინა ჯარისკაცებზე. სუვოროვს შეეძლო რამდენიმე სიტყვით განემარტა ჯარისკაცებისათვის რთული ამოცანის არსი, გაემხნევებინა ისინი ხუმრობით. ჯარისკაცში იგი ხედავდა ადამიანს, მეომარ პატრიოტს, მამაცობის, სიმხნევის, სიმტკიცის განსახიერებას.

შვიდწლიან ომში (1757-1763 წ. წ.) სუვოროვმა რუმიანცევის ჯარში ყოფნისას მიიღო პირველი საბრძოლო ნათლობა. იგი იმყოფებოდა მეწინავეთა რიგებში, აქეზებდა ჯარისკაცებს პირადი მამაცობითა და გაბედულებით და ამით უდიდესი პოპულარობა დაიმსახურა მათ შორის.

შვიდწლიანი ომის დამთავრების შემდეგ, 33 წლის სუვოროვს პოლკოვნიკის ხარისხი მიაკუთვნეს და პოლკიც ჩააბარეს. სწორედ აქ ჩაუყარა მან საფუძველი ჯარისკაცების სამხედრო სწავლებისა და აღზრდის თავის სისტემას. სუვოროვის წესი იყო: ესწავლებინათ ჯარისკაცისათვის ის, რაც საჭიროა ომში, ესწავლებინათ საბრძოლო სინამდვილის მაგვარ პირობებში.

სუვოროვი არასოდეს არ იყო ომის შაბლონური წარმოების მომხრე. ყოველი ოპერაციის განხორციელებისას იგი ითვალისწინებდა მოწინააღმდეგის კონკრეტულ მდგომარეობას. მისი არც ერთი ოპერაცია მეორეს არა ჰგავდა. იგი უარყოფდა კაბინეტებში მოფიქრებულ გეგმებს, რომლებშიც შეუძლებელი იყო მთავარის გათვალისწინება — ე. ი. ძალების თანაფარდობისა და თვით სამხედრო მოქმედების პირობების გათვალისწინება. „კაბინეტებში ტყუიან, მინდვრად კი იბრძვიან“, — ამბობდა სუვოროვი.

1773 წელს, სუვოროვი, უკვე გენერლის წოდების მქონე, გაგზავნილ იქნა ფელდმარშალ რუმიანცევის არმიაში, რომელიც იბრძოდა თურქების წინააღმდეგ დუნაიზე. სუვოროვს დავალებული ქონდა თავს დასხმოდა თურქებს დუნაიდან. მან ორჯერ განახორციელა ეს რთული ამოცანა. გადავიდა რა დუნაიზე, სუვოროვმა ენერგიული გადამწყვეტი იერიშით დაიკავა ქალაქი ტურტუკაი და გაანადგურა მტრის ძალები.

სუვოროვის წარმატებებმა ომში და უდიდესმა პოპულარობამ ჯარში, შური გამოიწვია სხვა გენერლებში და ამიტომ მათ ცუდად დაუწყეს ცქერა სარდალს. ამას მოყვა კონფლიქტი და სუვოროვი განდევნილ იქნა მოქმედი არმიიდან. მხოლოდ 13 წლის შემდეგ, 1787 წელს, როცა დაიწყო თურქეთთან მეორე ომი, სუვოროვი კვლავ გაიწვიეს მოქმედ არმიაში. მას დაავალეს კინბურნის რაიონის დაცვა ყირიმში. 1787 წლის 1 ოქტომბერს ამ რაიონს მოადგა თურქეთის ესკადრა და დაიწყო 5 ათასი კაცისაგან შემდგარი დესანტის გადასხმა. სუვოროვის განკარგულებაში იყო მხოლოდ 3 ათასი კაცი, მაგრამ მან გადასწყვიტა მტრის მოსპობა, რომ მეორეჯერ ვეღარ გაებედნათ რუსეთის სანაპიროს ხელშეხება.

სუვოროვმა აკრძალა თურქეთის დესანტის გადასხდომის ხელისშეშლა. მიუხედავად მოხსენებებისა, რომ თურქები სიმაგრეს უახლოვდებიან, იგი არ შეკრთა, ვინაიდან საუკეთესოდ ჰქონდა შემუშავებული კონტრდარტყმის გეგმა. მას განზრახული ქონდა მოწინააღმდეგის სიღრმეში შემოტყუება და მოსპობა.

დანიშნულ დროს დაიწყო ენერგიული იერიში. როცა თურქების რიგები შეირყა, სუვოროვმა ბრძოლაში გამოიყვანა მთელი თავისი რეზერვები. თურქები საბოლოოდ იქნენ განადგურებულნი და მტრის მხოლოდ მცირეოდენმა ნაწილმა შესძლო თავიანთ ხომალდებამდე მიღწევა. ეს იყო რუსების პირველი გამარჯვება ამ ომში.

1788 წლის 6 დეკემბერს სუვოროვმა აიღო ციხე-სიმაგრე ოჩაკოვი, ხოლო 1789 წელს ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა თურქებზე ფოკშანსა და რიმნიკთან (რუმინეთი). რიმნიკში სუვოროვმა 7 ათასი ჯარისკაცით გაანადგურა მტრის 102 ათასიანი არმია. იმისათვის, რომ მოეხდინა მოწინააღმდეგის დემორალიზაცია, სუვოროვმა გამოიყენა კავალერია. ამ მანევრმა შესაძლებლობა მისცა ქვეით ჯარს თითქმის უდანაკარგოდ მისულიყო მტრის სანგრებამდე და საღამომდე უკუეგდო თურქეთის არმია.

1790 წლის ბოლოს რუსეთის ჯარებს უშედეგო იერიშები მიჰქონდათ თურქეთის ძლავრ შემოსანგრულ ციხე-სიმაგრე — იზმაილზე. მას გარს შემოვლებული ქონდა 10-15 მეტრი სიმაღლის ქვის კედელი, წყლით სავსე არხი. მისი გარნიზონი შესდგებოდა 35 ათასი კაცისაგან და მას ძლავრი არტილერია იცავდა.

რუსეთის არმიაში იყო 28 ათასი კაცი. ასეთი პირველხარისხოვანი ციხე-სიმაგრის იერიშით აღება ყველას შეუძლებლად მიაჩნდა, მით უმეტეს, რომ ხანგრძლივმა, უნაყოფო ალყამ შეასუსტა რუსეთის არმიის ნებისყოფა. ყოველივე ამის გამო გადაწყვეტილი იყო ალყის მოხსნა. მაგრამ 1790 წლის 2 დეკემბერს იზმაილის კედლებთან მივიდა სუვოროვი და ნახა ჯარები, რომლებსაც თავიანთი ძალების რწმენა ქონდათ დაკარგული. მისი ბრძანებით გათხრილ იქნა იზმაილის მაგვარი სანგრები, რომლებშიაც ყველა ბატალიონმა გაიარა წინასწარი მომზადება. რვა დღეში შეასწავლა ჯარებს სუვოროვმა იერიშის ტექნიკა და ძირითად გარდატეხას მიაღწია ჯარების განწყობილებაში. მან შთაუნერგა ჯარისკაცებს წარმატების რწმენა. სუვოროვმა შეადგინა იზმაილის იერიშის გენიალური გეგმა. თავისი ძალების ორ შესამედს მან თავი მოუყარა დუნაის მხარეზე, რომელიც ყველაზე უფრო სუსტად იყო გამაგრებული თურქების მიერ. დანარჩენ ძალებს კი უნდა შეესრულებინათ დემონსტრაციის როლი, რათა დაექსაჭსად თურქების ძალები და დაებნიათ ისინი. ამრიგად თურქებმა არ იცოდენ, თუ სად მოელოდათ მათ ბთავარი დარტყმა.

1790 წლის 11 დეკემბერს, დილის 4 საათზე, დაიწყო იზმაილის ცნობილი იერიში. თურქების წინააღმდეგობა გააფთრებული იყო, მაგრამ სუვოროვის ჯარებმა ხიშტით გაიკაფეს გზა სიმაგრის ცენტრისაკენ და სასტიკ ბრძოლაში გაწყვიტეს თურქეთის გარნიზონი.

რუსეთის ჯარების მიერ იზმაილის აღებამ მთელი მსოფლიო განაცვიფრა. ამ ბრძოლაში თურქებმა მოკლულთა სახით 26 ათასი კაცი დაჰკარგეს. ომის ბედი რუსეთის სასარგებლოდ იყო გადაწყვეტილი. მაგრამ მადლობის ნაცვლად ჰეფის ლაქიამ პოტიომკინმა კვლავ შესძლო სუვოროვის გადაყენება.

1794 წელს, როგორც კი დაიწყო ახალი ომი პოლონეთის წინააღმდეგ, სუვოროვი კვლავ დაბრუნეს არმიაში. იმავე წლის აგვისტოში 5 ათასი კაცისაგან შემდგარი რაზმით იგი სალაშქროდ გაემგზავრა. 5 დღის განმავლობაში პოლონელები, რომლებიც რიცხვობრივად ბევრად სჭარბობდნენ სუვოროვის რაზმს, სამჯერ იქნენ დამარცხებულნი. მაძველი ძალების დახმარებით სუვოროვმა გაანადგურა მოწინააღმდეგის ძირითადი ძალები და გზა გაიხსნა ვარშავისაკენ. 24 ოქტომბერს სუვოროვმა იერიშით აიღო ვარშავის გარეუბანი — სიმაგრე პრაღა და მეორე დღეს თვით ვარშავაში შევიდა. პოლონელებთან ომში გამარჯვებისათვის ეკატერინე მეორემ სუვოროვს ფელდმარშლის წოდება მიანიჭა და პოლონეთის სამხედრო მმართველად დანიშნა.

1799 წელს პავლე პირველმა სამხედრო კავშირი დასდო ინგლისსა და ავსტრიასთან საფრანგეთის წინააღმდეგ. მთავარი სამხედრო მოქმედებანი უნდა გაშლილიყო იტალიაში, რომელიც ავსტრიელებს ჩამოართვა ნაპოლეონმა. ამიტომ იტალიაში გაგზავნილ იქნენ რუსეთისა და ავსტრიის არმიები. რუსეთის ჯარების მთავარსარდლად დანიშნულ იქნა სუვოროვი.

სუვოროვის წინაშე იდგა მრისხანე მოწინააღმდეგე ნაპოლეონის არმიის სახით. მას ხელმძღვანელობდნენ გამოცდილი სარდლები, საფრანგეთის არმია გამოირჩეოდა გაბედულობით, სწრაფი მოძრაობის უნარით და იგი იმ დროის ყველაზე ძლიერ არმიად ითვლებოდა.

სუვოროვის მდგომარეობა უფრო იმით გართულდა, რომ იგი დაქვემდებარებული იყო ავსტრიის სამხედრო საბჭოსადმი, რომელიც თავს აჩვევდა მას უნიჭო გეგმებს: გაჭიანურებულ კამპანიებში ულეველ გადასვლებს, საზამთრო ბინებში დგომას, ციხე-სიმაგრეების ხანგრძლივი ალყის შემორტყმასა და სხვ. ეს იყო პრუსიელთა ის ძველი ტაქტიკა, რომელსაც არაერთხელ გაეუცდია მარცხი მტერთან მრავალრიცხოვან შეტაკებებში.

ვენიდან სუვოროვი გაემგზავრა მოქმედ არმიაში. რუსეთის ჯარებს მან მარშზე მიუსწრო. სუვოროვმა ვერ იცნო თავისი ძველი ჯარისკაცები. ისინი იყვნენ პარიკებში, პუდრწაცხებულნი, მიდიოდნენ სწორმწკრივებად დაწყობილნი. დღეში ვერ გადიოდნენ 10-12 ვერსს. სუვოროვმა პრუსიის ფორმა შესცვალა რუსული ფორმით და მოითხოვა, რომ ჯარებს დღეში გაევლოთ 50 ვერსი.

მხოლოდ სისწრაფით, ენერგიულობითა და მამაცობით იქნა მოპოვებული იტალიის კამპანიის წარმატება. სამნახევარ თვეში სუვოროვმა დაამარცხა საუკეთესო ფრანგი გენერლები — შერერი, ჟუბერი, მორო და სხვ. და გაათავისუფლა იტალია.

რუსეთის არმიამ სუვოროვის ხელმძღვანელობით გაითქვა სახელი მსოფლიოში და არნახული დიდება მოუხვეჭა რუსულ იარაღს. მაგრამ მეფე პავლე პირველს არ სურდა უკვდავი დიდებით მოსილი სუვოროვი, რომ მასთან ახლოს ყოფილიყო. პეტერბურგში დაბრუნებისას პავლე პირველმა არც კი მიიღო იგი და ყველას აუკრძალა მისი ნახვაც კი. სუვოროვმა ვერ გადაიტანა ასეთი განწყობილება და 1800 წლის 18 (6 მაისს) გარდაიცვალა სრულ მარტოობაში.

ასე შეურაცხყო ცარიზმმა დიდი რუსი სარდალი. იგი სუვოროვის მიმართ, ისევე მოიქცა, როგორც იქცეოდა ყველა იმ დიდისა და პროგრესულის მიმართ, რასაც წარმოშობდა ხოლმე რუსი ხალხი.

სუვოროვი იყო პეტრე დიდისა და რუმიანცევის მიერ დაარსებული რუსეთის სამხედრო ხელოვნების განმგრძობი. მან კიდევ უფრო განავითარა ეს ხელოვნება და აიყვანა იგი უკვდავი დიდების მწვერვალამდე. სუვოროვის მიერ შემოღებულ სიახლეთა გამო XVIII საუკუნის მეორე ნახევარში რუსული სამხედრო ხელოვნება წამყვანი გახდა მთელ მსოფლიოში. ეყრდნობოდა რა რუსი ხალხის ეროვნულ თვისებებს, მის მამაცობას და სიმტკიცეს, სწავლების თავისი სისტემის გამოყენებით სუვოროვმა შექმნა ჯარი, რომლის ბადალიც საბრძოლო თვისებების მხრივ იმ დროს არსად არ მოიპოვებოდა.

ეკატერინე მეორის უნიჭო ფავორიტებმა და განსაკუთრებით პრუსიული სისტემის მომხრეებმა და თვით პავლე პირველმა ვერაფერი გაუგეს და არც შეეძლოთ გაეგოთ დიდი მხედართმთავრის მოღვაწეობის შინაარსისათვის და ყოველგვარ წინააღმდეგობას უწევდნენ მას. სუვოროვის სამხედრო გენია საყოველთაო აღტაცებას იწვევდა რუსეთის არმიაში და მას ცნობდა ევროპაც. ამ დროს კი მშობლიურ ქვეყანაში იგი ვერ ნახულობდა ოდნავ თანაგრძნობასაც კი გაბატონებულ კლასს შორის. უფრო მეტი, მას უმალვე შეუქცევდნენ ხოლმე ზურგს, როგორც კი რუსეთს თავიდან ასცილდებოდა საშიშროება. უსაფუძვლოდ როდი ხუმრობდა სუვოროვი როცა ამბობდა: „დაჭრილი ვიყავი 32-ჯერ, აქედან ორჯერ ომში, ათჯერ სახლში და ოცჯერ სასახლეში“.

სამაგიეროდ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს უყვარდათ სუვოროვი მისი გარდაცვალების უკანასკნელ დღემდე. 1812 წლის სამამულო ომის პარტიზანი დენის დავიდოვი სუვოროვის შესახებ სწერდა, რომ „მან ხელი დაადო რუსი ჯარისკაცს მკერდზე და შეისწავლა მისი გულისცემა“. იმ დრომდე მთელს სამხედრო ისტორიას არ ახსოვდა სხვა რომელიმე სარდალი, რომელიც ისე ახლობელი და საყვარელი ყოფილიყო ჯარისკაცებისათვის, როგორც სუვოროვი.

სუვოროვის სკოლამ აღზარდა ბევრი შესანიშნავი სარდალი და მათ შორის ისეთები, როგორნიც იყვნენ კუტუზოვი, ბაგრატიონი და სხვ.

სუვოროვის დიდება — რუსი ხალხის დიდებაა. სამშობლოსადმი ღრმა სიყვარულსა და ხალხისადმი სიახლოვეში ნახულობდა სუვოროვი თავის ძალას.

მხოლოდ საბჭოთა ხალხმა და მისმა არმიამ ნამდვილად შეაფასეს სუვოროვის მნიშვნელობა რუსული სამხედრო ხელოვნების განვითარებაში.

მეტად დამახასიათებელია, რომ სამოქალაქო ომის წლებში გამოცემულ და დიდი ლენინის მიერ დამტკიცებულ წითელარმიელთა სამახსოვრო წიგნაკში გამოყენებულ იქნა სუვოროვის სამხედრო ხელოვნების პრინციპები, მისი სახელგანთქმული „გამარჯვების მეცნიერების“ წესები.

საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები პატივს სცემენ სუვოროვის ტრადიციებს. ამის საუკეთესო დადასტურებას წარმოადგენს საბჭოთა მთავრობის მიერ სუვოროვის სამხედრო ორდენების დაწესება და სუვოროვის სასწავლებლების შექმნა.

საბჭოთა ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს თავის დიდ შვილს, მგზნებარე პატრიოტსა და სახელმოხვეჭილ მხედართმთავარს ალექსანდრე ვასილის-ძე სუვოროვს.

ალ. მგელაძე.

ქართველი მეომრები—სუვოროვის მოწაფეები

თბილისის კარლ მარქსის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში გახსნილია ლიტერატურის დიდი გამოფენა, მიძღვნილი დიდი რუსი მხედართმთავრის ა. ვ. სუვოროვის გარდაცვალების 150 წლისთავისადმი. აქ წარმოდგენილი წიგნები მოგვითხრობენ სუვოროვის ცხოვრებისა და საგმირო საქმეების. ქართველი მეომრების — მისი თანამედროვეებისა და მოწაფეების შესახებ. გამოფენაზე ექსპონირებულია კლევითი ნაშრომები ი. ბალახაშვილისა „ქართველი მეომრები 1812 წლის სამამულო ომში“, ნ. მახარაძისა — „რუსეთის არმიის ქართველი მხედართმთავრები XIX საუკუნეში“, ტ. რუხაძისა — „1812 წლის სამამულო ომის მონაწილე ქართველი მეომრები მხატვრულ ლიტერატურაში“ და სხვები.

გამოფენაზე საინტერესო მასალებია თავმოყრილი გენიალური მხედართმთავრის პირველი ქართველი მოწაფის, მისი საყვარელი და ერთგული თანამებრძოლის, 1812 წლის სამამულო ომის გმირის, ოცი ძლევამოსილი ლაშქრობისა და 150 ბრძოლის მონაწილის, გენერალ პეტრე ბაგრატიონის შესახებ.

სუვოროვის სახელოვანი საბრძოლო დროშების ქვეშ იბრძოდა ოგრეთვე ბევრი სხვა ქართველი. მათგან 70 კაცი — 1812 წლის სამამულო ომის მონაწილე, — აღნიშნულია ჯილდოებით სამშობლოს მტრებთან ბრძოლებში გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის.

ა. ვ. სუვოროვის მოწაფეებს შორის არიან რუსეთის არმიის გენერლები რომან ბაგრატიონი, ძმები ივანე და სიმონ ფანჩულიძეები, თურქების წინააღმდეგ ომის გმირი გენერალი ლევან იამვილი, მამაცი კავალერისტი ივანე რატიშვილი, რუსეთის არმიის არტილერიის ინსპექტორი ნიკოლოზ აბესაძე და მრავალი სხვა, რომლებმაც სუვოროვის უკვდავი საბრძოლო საქმეების მატიანეში ჩასწერეს თავიანთი სახელები.

გამოფენის მრავალი ექსპონატი მკაფიოდ მოგვითხრობს სუვოროვის დიდებისა და ტრადიციების საუკეთესო მემკვიდრეებზე, საბჭოთა არმიის მეომრებზე, რომლებიც ძლევამოსილად იბრძოდნენ დიდი სამამულო ომის წლებში. (საქდესი).

გამოფენები და მოხსენებები სუვოროვის შესახებ

ა. ვ. სუვოროვის გარდაცვალების 150 წლისთავთან დაკავშირებით მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ნ. მარრის სახელობის აფხაზეთის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი. ამ დღეებში გაიხსნება გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იქნება სუვოროვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მდიდარი მასალები. გარდა ამისა მოსმენილი იქნება ლექცია თემაზე: „სუვოროვი დიდი რუსი სარდალი“.

* * *

ლ. ბ. ბერიას სახელობის სუხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის კაბინეტში მოეწყო ა. ვ. სუვოროვის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენა.

დღეს, 18 მაისს ინსტიტუტის კლუბში შედგება სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა სხდომა, მიძღვნილი ა. ვ. სუვოროვის გარდაცვალების 150 წლისთავისადმი. სხდომაზე დოცენტი ი. ანთელავა წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: „სუვოროვი დიდი რუსი მხედართმთავარი“. მოხსენებით—„სუვოროვის სახე რუსულ მხატვრულ ლიტერატურაში“ გამოვა უფროსი მასწავლებელი ბ. გვასალია.

მხატვრულ განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ სტუდენტთა თვითმოქმედი კოლექტივები. დამწყები პოეტები წაიკითხავენ ა. ვ. სუვოროვისადმი მიძღვნილ საკუთარ ლექსებს.

* * *

რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში გაიხსნა დიდი რუსი მხედართმთავრის ა. ვ. სუვოროვის გარდაცვალების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი სურათები ასახავენ სახელგანთქმული მხედართმთავრის მიერ გადახდილ ბრძოლებს. აქვეა მხატვრული, ისტორიული და სხვა სახის ლიტერატურა, დაკავშირებული სუვოროვის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან. გამოფენა მნახველთა დიდი ინტერესით სარგებლობს.

ამას გარდა ბიბლიოთეკაში ეწყობა ლექციები და მოხსენებები.

* * *

18 მაისს ქ. სუხუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმში შედგება მასწავლებელთა და მასწავლებელთა გაერთიანებული სხდომა, მიძღვნილი გამოჩენილი რუსი მხედართმთავრის ა. ვ. სუვოროვის გარდაცვალების 150 წლისთავისადმი. მოხსენებით თემაზე „ა. ვ. სუვოროვის ცხოვრება და მოღვაწეობა“ გამოვა ტექნიკუმის მასწავლებელი ა. ჯიმკარიანი.

* * *

ქ. სუხუმის სკოლებში ენერგიული მუშაობაა გაშლილი დიდი რუსი მხედართმთავრის ა. ვ. სუვოროვის გარდაცვალების 150 წლისთავთან დაკავშირებით. თარიღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები ტარდება წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით.

ამ დღეებში ვაჟთა მესამე საშუალო სკოლაში ისტორიის მასწავლებელმა ვ. ფირცხალაიშვილმა წაიკითხა მოხსენება ა. ვ. სუვოროვის შესახებ.

ასეთივე მოხსენებები ჩატარდა ვაჟთა მეორე და ქალთა მეორე საშუალო სკოლებში.



„სუვოროვის გადასვლა ალპებზე“ — მხატვარ ვ. ი. სურიკოვის სურათის რეპროდუქცია.

ფართოვდება და ძლიერდება მშვიდობის ფრონტი

8 მილიონამდე რუმინელმა მოქალაქემ მოაწერა ხელი მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის მოწოდებას

ბუქარესტი, 14 მაისი. (საკდესი). რუმინეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის მოწოდებას დღემდე ხელი მოაწერა 7.930.200 რუმინელმა მოქალაქემ, აქედან 5.594.600 კაცი სოფლის მცხოვრებია. ბუქარესტში ხელმოწერის რაოდენობამ 637.800-ს მიაღწია. ხელმომწერთა დაახლოებით ნახევარს ქალები შეადგენენ.

ხელმოწერის შეგროვების კამპანია რუმინეთში მზარდი ენთუზიაზმის ატმოსფეროში გრძელდება.

ჩეხოსლოვაკიაში დაიწყო მუდმივი კომიტეტის მოწოდებაზე ხელმოწერის შეგროვების კამპანია

პრაღა, 14 მაისი. (საკდესი). დღეს მთელ ჩეხოსლოვაკიაში საყოველთაო სახალხო აღფრთოვანების ვითარებაში დაიწყო მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის სტოკჰოლმის სესიის მოწოდებაზე ხელმოწერის შეგროვება.

ქალაქ პლზენში გაიმართა მშვიდობის მომხრეთა საოლქო კონფერენცია, რომელსაც დაესწრნენ პლზენის ოლქის ყველა რაიონის დელეგატები. კონფერენციაზე გამოვიდა მშვიდობის მომხრეთა ჩეხოსლოვაკიის კომიტეტის თავმჯდომარე მარე გოდინოვა-სპურნა, რომელმაც მშვიდობისათვის მებრძოლთ მოუწოდა გააორკეცონ თავიანთი ღონისძიებანი მშვიდობის დაცვის საქმეში და ხაზგასმით აღნიშნა მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის მოწოდებაზე მილიონობით ადამიანის ხელმოწერის უდიდესი მნიშვნელობა.

ჩეხოსლოვაკიის მშრომელები მუდმივი კომიტეტის მოწოდებაზე ხელმოწერით გამოხატავენ თავიანთ გადაწყვეტილებას უზრუნველყონ მტკიცე მშვიდობა.

მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის მოწოდებას ხელი მოაწერა 7 მილიონზე მეტმა კაცმა

ბუდაპეშტი, 14 მაისი. (საკდესი). მშვიდობის დაცვის მოძრაობის სრულიად უნგრეთის საბჭომ თავის გუშინდელ სხდომაზე აღნიშნა, რომ მთელმა უნგრელმა მშრომელმა ხალხმა უდიდესი აღფრთოვანებითა და ერთსულოვნებით მოიწონა მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის სტოკჰოლმის სესიის მოწოდება.

ხელმოწერის შეგროვება და მშვიდობის დაცვის ადგილობრივი კომიტეტების შექმნა მთელ უნგრეთში დამთავრდა. რამდენიმე კვირის განმავლობაში სტოკჰოლმის სესიის მოწოდებას ხელი მოაწერა 7.231.329 მშრომელმა. შექმნილია მშვიდობის დაცვის 27.000 ადგილობრივი კომიტეტი. ეს შედეგი იმას მოწმობს, ნათქვამია სრულიად უნგრეთის საბჭოს რეზოლუციაში, რომ მთელი ჩვენი მშრომელი ხალხი გაერთიანებულია ომის ინგლისელი და ამერიკელი გამჩაღებლების წინააღმდეგ, რომ ჩვენი სამშობლო მტკიცე სიმაგრეა მშვიდობის საერთაშორისო ფრონტში, რომელსაც დიდი საბჭოთა კავშირი ხელმძღვანელობს.

მშვიდობის დაცვის მოძრაობის სრულიად უნგრეთის საბჭო აღნიშნავს, რომ მხოლოდ ადამიანთა მცირე ჯგუფმა არ დაუჭირა მხარი მშვიდობას. მაშინ როცა კათოლიკე მღვდლების ერთმა ნაწილმა — ხალხის ერთგულმა ნაწილმა ხელი მოაწერა მოწოდებას და ბევრგან აქტიური მონაწილეობა მიიღო მშვიდობის დაცვის ადგილობრივი კომიტეტების მუშაობაში, კათოლიკური ეკლესიის ეპისკოპატმა. აგრეთვე ბერ-მონაზონთა ორდენების მეთაურებმა და მათმა მორჩილმა კათოლიკური სამღვდელოების და ბერ-მონაზონთა ორდენების წარმომადგენლებმა უარი თქვეს მხარი დაეჭირათ უნგრელი ხალხის მოძრაობისათვის მშვიდობის დასაცავად და ხელი მოეწერათ სტოკჰოლმის სესიის მოწოდებაზე. ასევე მოიქცნენ მსხვილმემამულური და მსხვილ-კაპიტალისტური კლასის განადგურებული ნაშთები, აგრეთვე კულაკები, სპეკულანტები და სხვა რეაქციონერები. ამ ელემენტებმა მთლიანად გამოამჟღავნეს თავი როგორც ინგლისელ და ამერიკელ ომის გამჩაღებელთა აგენტებმა, როგორც თავიანთი სამშობლოს, უნგრელი ხალხისა და მშვიდობის მტრებმა.

მშვიდობის დაცვის მოძრაობის სრულიად უნგრეთის საბჭომ აირჩია საბჭოს თავმჯდომარე და პრეზიდიუმი.

თავმჯდომარედ არჩეულია პროფესორი, სახელმწიფო კრების დეპუტატი ერჟებეტ ანდიჩი.

საბჭოთა დესპანმა ეგვიპტეში რწმუნების სიგელები გადასცა

კაირო, 13 მაისი. (საკდესი). 13 მაისს სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა დესპანმა ეგვიპტეში ს. პ. კოზირევმა რწმუნების სიგელები გადასცა მეფე ფარუკ I-ს.

რწმუნების სიგელების გადაცემას დაესწრნენ: სამეფო კანცელარიის უფროსის მოვალეობის აღმსრულებელი იუსეფ ჰასან-ფაშა, მთავარი კამერგერი თალაათ-ფაშა, მეფის მთავარი ადიუტანტი გენერალი ომარ ფათხი-ფაშა, ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრი მუჰამედ სალაჰ-ედ-დინ-ფაშა და სხვა პირები.

რწმუნების სიგელების გადაცემის შემდეგ სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა დესპანმა ეგვიპტეში ს. პ. კოზირევმა მეფე ფარუკს წარუდგინა ეგვიპტეში საბჭოთა მისიის წევრები.

მაკართური ათავისუფლებს იაპონელ სამხედრო დამნაშავეებს

შანხაი, 13 მაისი. (საკდესი). როგორც ტოკიოდან იუწყებიან, დღეს მაკართურის შტაბმა გამოაცხადა, რომ 19 მაისს სუგამოს საპატიმროდან ვადამდე გაათავისუფლებენ კიდევ 6 იაპონელ სამხედრო დამნაშავეს. ყველა ისინი მსჯავრდადებული არიან შანხაისა და იაპონიაში მოკავშირე სახელმწიფოთა მოქალაქეებთან მკაცრი მოპყრობისათვის. თვითეულმა მათგანმა თავისი 5-6 წლის პატიმრობის დაახლოებით ნახევარი მოიხადა.



მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ნაცვლად საფრანგეთის მთავრობა ასე უმასპინძლდება სტუდენტებს. სურათზე ნაჩვენებია პარიზში სტუდენტთა ამასწინად მომხდარი დემონსტრაციის ერთერთი მონაწილის შეპყრობა.

დამთავრდა სამი დასავლეთი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი

ლონდონი, 13 მაისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, სამი დასავლეთი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრებმა ლონდონის თათბირის დამთავრების შემდეგ ერთობლივ კომუნიკეში გამოაცხადეს, რომ ისინი „შეთანხმდნენ დედამიწის ყველა ნაწილში თავიანთი პოლიტიკის ძირითად საკითხებზე“, და რომ ისინი „გეგმავენ სამი ქვეყნის საერთო რესურსების უფრო მჭიდრო კოორდინაციას“.

მეორე კომუნიკეში მინისტრებმა გამოაცხადეს, რომ მათ „დანიშნეს ექსპერტთა ჯგუფი დასავლეთ ევროპაში ჭარბი მოსახლეობის პრობლემის და, კერძოდ, იტალიიდან და გერმანიიდან გადასახლების დამატებითი გეგმების შესაძლებლობის შესასწავლად“.

სამი მთავრობა ძირითადად შეთანხმდა „აფრიკის ხალხთა პოლიტიკური განვითარების მნიშვნელობის“ საკითხში.

კომუნიკეში ნათქვამია, რომ მინისტრებმა მიიღეს გადაწყვეტილებანი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების შესახებ; ამასთან კომუნიკე შეიცავს მტკიცებებს, რომ ამ რაიონს „კომუნისტური საფრთხე“ ემუქრება.

საგარეო საქმეთა მინისტრებმა აგრეთვე გამოაცხადეს, რომ ისინი შეთანხმდნენ გერმანიის მიმართ პოლიტიკის შესახებ და რომ საერთო დეკლარაცია გადაეცა დასავლეთ გერმანიის მთავრობას. დეკლარაცია 15 მაისს გამოქვეყნდება.

თურქი დემოკრატი პოეტის ნაზიმ ჰიქმეთის დასაცავად

პარიზი, 13 მაისი. (საკდესი). დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციამ თურქეთის მთავრობას მიმართა შემდეგი დეპეშით: „მსოფლიო პრესიდან შევიტყეთ, რომ ნაზიმ ჰიქმეთმა კვლავ გამოაცხადა შიმშილობა და რომ მისი სიცოცხლე საფრთხეშია. ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ უსამართლოდ მსჯავრდადებული დიდი პოეტის საპყრობილეში ყოფნის წინააღმდეგ და ადამიანის უფლებათა სახელით მოვითხოვთ მის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას“.

დეპეშას ხელს აწერენ: დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის თავმჯდომარე დ. ნ. პრიტი; ასოციაციის ვიცე-თავმჯდომარენი ვან დენ ბრანდენ დე რიტი (ბელგია), ლიონ-კანი (საფრანგეთი), ტარჯეტი (იტალია), კლიფორდ დარი (ამერიკის შეერთებული შტატები); ასოციაციის გენერალური მდივანი ჯო ნორმანი (საფრანგეთი): ამერიკის საქმეთა გენერალური მდივანი მარტინ პოპერი (ამერიკის შეერთებული შტატები); დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის ადამიანის უფლებათა საკითხის კომისიის თავმჯდომარე პიერ კოტი (საფრანგეთი).

ნაზიმ ჰიქმეთის სიცოცხლეს საფრთხე მოელის

სტამბოლი, 12 მაისი. (საკდესი). როგორც გაზეთი „სონ პოსტა“ იუწყება, 11 მაისს პოლიციამ დააპატიმრა 19 სტუდენტი, რომლებიც ავრცელებდნენ მოწოდებას სათაურით „იხსენით ნაზიმ ჰიქმეთი“.

სტამბოლი, 13 მაისი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ჯუმჰურიეთი“ იუწყება, პროგრესული მწერალი ნაზიმ ჰიქმეთი, რომელიც შიმშილობას განაგრძობს, 11 მაისს „ჯერაჰ-ფაშის“ საავადმყოფოში მოათავსეს.

სოხუმი
საქალაქო ქრონიკა

სამეცნიერო კონფერენცია

20-21 მაისს საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიკური მეთოდებით მკურნალობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის აფხაზეთის ფილიალში ჩატარდება აფხაზეთის ბალნეოლოგიური რესურსებისა და მათი სამკურნალო მიზნით გამოყენების საკითხებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია.

შედგება სამი სხდომა, რომლებზედაც მოსმენილ იქნება მოხსენებები: საქართველოს კურორტოლოგიის ინსტიტუტის აფხაზეთის ფილიალის დირექტორის, პროფესორ ა. გრიგოლიასი — „აფხაზეთის ბალნეოლოგიური რესურსებისა და მათ ბაზაზე კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტების შექმნის პერსპექტივების საკითხისათვის“, საქართველოს კურორტოლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლის, ჰიდროგეოლოგის შ. ჩუბინიძისა — „ავადხარის რაიონის მინერალური წყლების ჰიდროგეოლოგია“, საქართველოს კურორტოლოგიის ინსტიტუტის აფხაზეთის ფილიალის მუშაკების: ექიმ შ. გოგოხიასი — „ცვლილებები პერიფერიულ სისხლში ავადხარის კლიმატურ-ბალნეოლოგიური ფაქტორების ზეგავლენით“, ექიმ ნ. მგელაძისა — „გლიკემიური მრუდის ცვლილებები სისხლში ავადხარის კლიმატურ-ბალნეოლოგიური ფაქტორების ზეგავლენით“ და სხვ.

კონფერენციის მონაწილენი მოისმენენ სულ 12 მოხსენებას.

წყალსამკურნალო

ოც წელზე მეტია ნაყოფიერად ემსახურება მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს სოხუმის წყალსამკურნალო კლინიკა. აქ მკურნალობენ რევმატიზმსა და ნერვიულ დაავადებულთ, გულით ავადმყოფებსა და სხვ.

წყალსამკურნალოს წელს გაუკეთდა კაპიტალური რემონტი, დაიდგა ახალი ავზი, რომელიც გამოყენებულია ზღვის წყალის მოსამარაგებლად. შეძენილ იქნა 15 აბაზანა, 6 შხეფი და სხვ.

სამედიცინო პერსონალი ჭავჭავაძის, ბერიძის, რემეზოვას, კაპლანოვას, ქუთათელაძისა და სხვათა შემადგენლობით კარგად უვლის და მზრუნველობით ეპყრობა ავადმყოფებს.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

გუშინ მოსკოვში „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე ჩატარდა მორიგი კალენდარული მატჩი ფეხბურთში 1950 წლის პირველობაზე. ერთმანეთს შეხვდნენ გასული წლის ჩემპიონის მოსკოვის „დინამოსა“ და კიევის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები.

პირველი ბურთი მოწინააღმდეგის კარში კიეველებმა გაიტანეს. ამის შემდეგ დედაქალაქის ფეხბურთელებმა მედგარი იერიშები მიიტანეს სტუმრების წინააღმდეგ. პირველი ტაიმი დამთავრდა ფრედ (1:1).

შეჯიბრების მეორე ნახევარი მიმდინარეობდა ცვალებადი უპირატესობით. მოსკოვის „დინამოს“ თავდასხმამ შეძლო კიდევ ორი ბურთის მოქცევა სტუმრების კარში. მატჩი დამთავრდა კიევის „დინამოს“ დამარცხებით (1:3).

ამ მოგების შემდეგ დედაქალაქის „დინამო“ იკავებს მე-14-15 ადგილებს გათამაშების ცხრილში. კიევის „დინამოს“ გუნდი მე-10 ადგილზეა.

ლ ე ქ ც ი ა

19 მაისს აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში შედგება ლექცია თემაზე: „სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“. ლექციას წაიკითხავს ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი დ. ზავრიევი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

პასუხისმგებელი რედაქტორი გ. კვირტია.

თეატრსა და კინოებში

სოხუმის დრამატულ თეატრში — 18 მაისს მე-13 აბონემენტის მე-5 წარმოდგენა „სამი მეგობარი“; 19 მაისს მე-14 აბონემენტის მე-5 წარმოდგენა „ხევისბერი გოჩა“. დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.

კინო-თეატრ „სოხუმში“ (საზამთრო) — ახალი მხატვრული ფილმი „ქალი სამგზავროდ ემზადება“. სეანსების დასაწყისი საღამოს 4, 6, 8 და 10 ს.

კინო-თეატრ „სოხუმში“ (საზაფხულო) — „კონსტანტინე ზასლონოვი“. სეანსების დასაწყისი 8 ს. 15 წ. და 10 ს. 30 წ.

კინო-თეატრ „რუსთაველში“ — „სტალინგრადის ბრძოლა“ 1-ლი და მე-2 სერია. სეანსების დასაწყისი 8 ს. 45 წ. და 10 ს. 30 წ.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

საყურადღებო კრებული

ამ რამდენიმე ხნის წინათ ამხ. პ. რატიანის რედაქტორობით გამოვიდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ნ. მარის სახელობის აფხაზეთის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის შრომების XXIII კრებული. ამ კრებულის გამოქვეყნება ფრიად საყურადღებო მოვლენაა, რადგან თითქმის 10 წლის განმავლობაში ხსენებული ინსტიტუტის შრომები არ გამოცემულა და ამ მხრივ დიდი ხარვეზი იგრძნობოდა. წინამდებარე კრებულში წარმოდგენილია მეტად საინტერესო მეცნიერული ხასიათის ნაშრომები ფილოლოგიის, ლიტერატურის, ისტორიის, ფოლკლორისა და ტექნიკურ მეცნიერებათა დარგებიდან. შრომებში ცალკე განყოფილებადაა გამოყოფილი კრიტიკა და ბიბლიოგრაფია და ქრონიკა.

კრებულში გაშუქებულია ჩვენი ქვეყნის ისტორიის სპეციალური საკითხებიც.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის შოთა მესხიას წერილში „აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია და ქართული ისტორიული მეცნიერება“ გარკვეულია ს. ჯანაშიას დიდი ღვაწლი საქართველოს ისტორიის საკითხების მარქსისტულად გაშუქების დარგში. კონკრეტულადაა განხილული მის მიერ დასმული პრობლემები: ქართველ ტომთა გენეტიკური კავშირი კავკასიისა და ძველი აღმოსავლეთის კულტურულ ხალხებთან, ქართველ ტომთა საზოგადოებრივი წყობილება, ისტორიული გეოგრაფია, სახელმწიფოს წარმოშობა საქართველოსა და კავკასიაში, მოსახლეობის მოძრაობა საქართველოს ტერიტორიაზე და სხვ. წერილის ავტორი განსაკუთრებით უსვამს ხაზს აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას მეცნიერულ გაგებას ქართველი ერის წარმოშობის საკითხში. აკადემიკოს ს. ჯანაშიას მეცნიერული მემკვიდრეობიდან ამ საკითხის წარმოჩენა ამ წერილის ერთ-ერთ უდავო ღირსებას წარმოადგენს. წერილში ცხადყოფილია საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიის გაყალბების ცდების წინააღმდეგ ს. ჯანაშიას აქტიური ბრძოლა, რაც აგრეთვე მის დიდმნიშვნელობაზე მეტყველებს.

საყურადღებო ნაშრომს წარმოადგენს დოც. ი. ანთელავას წერილი „საქმე თავად ბაგრატიონების მიერ საქართველოში მამულის ძებნის შესახებ“. წერილში ავტორი ეხება ცნობილი ქართველი გენერლის პეტრე ბაგრატიონის ძმების მიერ აღძრულ საქმეს საქართველოში მამულის ძიების გამო, მაგრამ ამასთან დაკავშირებით იგი არკვევს პ. ბაგრატიონის გენეალოგიას, მისი მშობლების რუსეთში დასახლების მიზეზებს. იგი იძლევა წარმოდგენას პეტრე ბაგრატიონისა და მისი წინაპრების ეკონომიური მდგომარეობის, მათი ადგილ-მამულის შესახებ. ნაშრომს დამატების სახით ახლავს დოკუმენტები, რომლებიც ნათელს ჰფენენ ავტორის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს.

საინტერესოა თემატიკურად და საკითხის გაშუქებითაც ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხ. ბღაჟბას წერილი: „გიორგი შარვაშიძე — ქართული კულტურის გამოჩენილი წარმომადგენელი“. ავტორი არჩევს გ. შარვაშიძის პუბლიცისტურ წერილებს, ლირიკულ ლექსებს, პიესებს, ავლენს მისი მსოფლმხედველობის პროგრესულ მხარეებს, მის სიახლოვეს დიდ ქართველ მწერლებთან ილიასა და აკაკისთან და მას სრულიად სამართლიანად თვლის ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლად.

დიდი ინტერესის შემცველია შალვა ინალ-იფას ნაშრომი „აფხაზური თქმულებები ნართებზე“. დღემდე არსებობდა მოსაზრება, რომ ნართების შესახებ თქმულება მხოლოდ ოსებს, ყაბარდოელებსა და ჩერქეზებს გააჩნიათო. ამხ. შ. ინალ-იფა ამ მოსაზრებას არ ეთანხმება. თავის წერილში იგი არკვევს, რომ ნართების შესახებ თქმულებები მოიპოვება დასავლეთ საქართველოში, კერძოდ აფხაზურ ფოლკლორშიც. „მათი კვალი შენიშნულია აგრეთვე სვანეთსა და რაჭაში. ზოგი ტოპონიმიკური სახელწოდება (მდინარე „არიონი“, ე. ი. ალბათ, „რიონი“ და ადგილის მეგრული სახელწოდება „სანართია“) საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სათანადო კვლევა-ძიების შედეგად არამარტო სვანეთსა და რაჭაში, არამედ დასავლეთ საქართველოს დანარჩენ ნაწილებშიც შესაძლებელია მოიძებნოს ნართული ეპოსის კიდევ მრავალი ნაკვალევი“ (გვ. 121). შალვა ინალ-იფას მოჰყავს აფხაზური თქმულებების ნიმუშები და იძლევა მათს კონკრეტულ ანალიზს. იგი ფართოდ იყენებს ნართების შესახებ არსებულ სამეცნიერო - საკვლევი ხასიათის ლიტერატურას, მაგრამ წერილი ბევრს მოიგებდა, რომ ავტორს უფრო მეტად ესარგებლნა ცნობებით ნართების თქმულებების შესახებ რაჭაში, ლეჩხუმსა და სვანეთში. შ. ინალ-იფა აფხაზურ თქმულებებს ნართების შესახებ უკავშირებს საზოგადოებრივი ფორმაციების სხვადასხვა საფეხურებს და ბოლოს გამოთქვამს რწმენას, რომ „დღემდე განუხილველ აფხაზურ ნართულ მასალებს შეუძლიათ ნათელი მოჰფინონ ფრიად საინტერესო ნართული ეპოსის გამოუკვლეველ მხარეებს. კერძოდ, ამ მასალათა გამოკვლევა აფხაზური ენის მონაცემებთან ერთად, ალბათ, სათანადო შედეგს მოგვცემდა თვით ტერმინი „ნართის“ გამოსარკვევადაც“.

წერილში „სოლომონ ზვანბა (ბიოგრაფიულ-ბიბლიოგრაფიული ნარკვევი)“ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი გ. ძიძარია ეხება სოლომონ ზვანბას ცხოვრების მთავარ მომენტებს, აღნიშნავს მის დამსახურებას აფხაზეთის ეთნოგრაფიული თვალსაზრისით შესწავლის საქმეში და ხაზს უსვამს მისი შრომების მნიშვნელობას მეცნიერებისათვის. წერილს დართული აქვს სოლომონ ზვანბას შრომა „აფხაზური მითოლოგია და აფხაზეთის მცხოვრებთა შორის რელიგიური რწმენა და წეს-ჩვეულებანი“. ამხ. გ. ძიძარიას საკმაო მუშაობა ჩაუტარებია ს. ზვანბას შრომების შესწავლის საქმეში. მაგრამ კარგი იქნებოდა მას წერილში ეჩვენებინა, თუ რა შეიძლება კონკრეტულად მივიღოთ ს. ზვანბას მემკვიდრეობიდან აფხაზეთის ეთნოგრაფიული თვალსაზრისით შესწავლასთან დაკავშირებით.

შრომებში მოთავსებულია აგრეთვე ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის დ. წიკლაურის ნაშრომი „ჭავრილის ტიპის ჰიდროკომპრესორის მუშაობის თეორიული საფუძვლები“, რომელშიც დასმული და გადაჭრილი საკითხები ფრიად აქტუალურია.

შრომებში მოთავსებულია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ა. კობახიძის წერილი „აკად. ნ. მარი — გენიალური საბჭოთა მეცნიერი“. მასში მოცემულია ბიოგრაფიული ხასიათის ცნობები ნ. მარის შესახებ და ნ. მარის ენათმეცნიერული მოძღვრების ზოგიერთი საკითხის ჩამოთვლა. ავტორი ლაპარაკობს ნ. მარის დამსახურებაზე ქართველოლოგიისა და კავკასიის მცოდნეობის წინაშე, მის როლზე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხების დამუშავებასთან დაკავშირებით, მაგრამ ა. კობახიძის მოსაზრებები არაა დასაბუთებული ღრმა ანალიზით, რის გამოც წერილი სქემატურობის შთაბეჭდილებას ტოვებს. მაგალითად, მკითხველი გაურკვეველი რჩება, თუ რას გულისხმობდა ნ. მარი მეტყველების პალეონტოლოგიაში, ენის სტადიური განვითარების ცნებაში. ავტორი ნ. მარის დახასიათებისას მხოლოდ მისი ენათმეცნიერული შეხედულებების აღნუსხვით იფარგლება. ეს მაშინ, როდესაც ნ. მარის მემკვიდრეობა უფრო ფასეულია მატერიალური კულტურის ისტორიის, ფოლკლორის, ტექსტების მოპოვების, დადგენის, გამოცემისა და მათი ფილოლოგიური ანალიზის დარგში და არა ზოგადი ენათმეცნიერების პრობლემების დამუშავების თვალსაზრისით. სარეცენზიო წერილში კი ნ. მარის მეცნიერული მოღვაწეობის ეს მხარე უგულებელყოფილია.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილება. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ქეთევან ლომთათიძის „რამდენიმე შენიშვნა პროფესორ გ. პ. სერდიუჩენკოს შრომებზე აბაზური ენის შესახებ“, რომელიც ამ განყოფილებაშია მოთავსებული და შეიცავს 14 გვერდს, წარმოადგენს არა უბრალო რეცენზიას, არამედ სერიოზულ მეცნიერულ გამოკვლევას, რომელშიც ავტორი ავლენს აფხაზური ენისა და მისი დიალექტების არა მარტო საფუძვლიან ცოდნას, არამედ მათი ღრმა მეცნიერული ანალიზის უნარსაც. ამის შედეგად ქ. ლომთათიძე ამჟღავნებს პროფ. სერდიუჩენკოს მიერ გამოყენებული მასალების უვარგისობას, ამხელს მის უხეშ შეცდომებს და იჭერს მას საბჭოთა მეცნიერ მუშაკის ეთიკის ელემენტარული მოთხოვნილებების დარღვევაში.

ბიბლიოგრაფიისა და კრიტიკის განყოფილებაში მოთავსებულია აგრეთვე ხ. ბღაჟბას წერილი „ახალი წიგნი აფხაზეთის სახალხო პოეტზე“, რომელშიც განხილულია მ. დელბას ნაშრომი „დიმიტრი გულია“. ამხ. ხ. ბღაჟბა ეხება რა დ. გულიას სამწერლო მოღვაწეობის ვრცელ და სახელოვან გზას, დიდ დამსახურებასთან ერთად, აღნიშნავს მის შეხედულებათა მცდარობას აფხაზების წარმოშობის შესახებ. იგი წერს: „სარეცენზიო წიგნის ავტორი ამხ. მ. დელბა, მხედველობაში აქვს რა მრავალრიცხოვანი ისტორიული მონაცემები, ამ საკითხის შესახებ სრულიად მართებულად შენიშნავს: „ამ თეორიის მცდარობა გასაგებია, ვინაიდან აფხაზები ქართველები არიან. აფხაზები წარმოადგენენ ქართველთა ერთ-ერთ მრავალრიცხოვან ტომს, რომლებიც სახლობდნენ საქართველოსა და კავკასიაში“. (გვ. 181).

ქრონიკაში მოთავსებულია ცნობა სოფელ კულანურხვაში არქეოლოგიური გათხრების შესახებ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ნ. მარის სახელობის აფხაზეთის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის შრომების XXIII კრებული, მიუხედავად იმ ნაკლოვანებათა, რომლებიც ზოგიერთ წერილს ახასიათებს, აფხაზეთის მეცნიერულ ძალთა შემოქმედებითი აღმავლობის მაჩვენებელია.

შ. ლლონტი.

რედაქციის მისამართი: სოხუმი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: სამდივნო — 2-74; მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის განყოფილება — 5-66; პარტიული ცხოვრების განყოფილება — 5-66; სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და ტრანსპორტის, საბჭოთა მშენებლობის განყოფილებები — 8-17; კულტურისა და ყოფაცხოვრების, ინფორმაციის განყოფილებები — 5-66; მშრომელთა წერილების განყოფილება — 8-17; გამომშვები — 7-98; სტამბა — 0-16. გაზეთი იბეჭდება აფხაზეთის სახელგამის სტამბაში.

ტირაჟი 7650 | ემ 00137